# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 137

“ 28 ” აპრილი 2017 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქ. №51-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.11.12.014.093; №01.11.12.014.094) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ორიგინალი +“-ისთვის (ს/კ 400081095) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ილია ვეკუას ქ. №51-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.11.12.014.093; №01.11.12.014.094) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ორიგინალი +“-ისთვის (ს/ნ: 400081095) გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 12 აპრილის №13.34.256 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქ. №51-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.014.093) და 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი; №01.11.12.014.094) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ორიგინალი +“-ისთვის (ს/ნ: 400081095) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 10 წლის ვადით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ალიბეგაშვილი**